

# საკანონმდებლო სიახლეების

## ცნობარი

(2020 წლის აგვისტო)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2020 წლის აგვისტოს თვეში.

**საქართველოს მთავრობის დადგენილება №481 „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“**

2020 წლის 6 აგვისტოს, საქართველოს მთავრობის დადგენილება №481-ში „საქართველოში ბინადრობის ნებართვის გაცემის საკითხის განხილვისა და გადაწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ განხორციელდა რიგი ცვლილებები და დამატებები, კერძოდ, დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-3 და მე-4 პუნქტები:

„3. როდესაც დამსაქმებელი/დაფუძნებული საწარმო არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად, ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ<sup>1</sup>“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ცნობის ნაცვლად უცხოელმა სააგენტოში უნდა წარადგინოს კომპეტენტური ორგანოს/პირის მიერ გაცემული სათანადო ცნობა ან ცნობები. აღნიშნული ცნობით/ცნობებით უნდა დასტურდებოდეს, რომ:

ა) მის მიერ საქართველოში სამეწარმეო ან შრომითი საქმიანობიდან მიღებული ყოველთვიური შემოსავალი/შრომის ანაზღაურება არ არის საქართველოში განსაზღვრული საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმის ხუთმაგ ოდენობაზე ნაკლები;

ბ) უცხოელის დამსაქმებელი/დაფუძნებული საწარმო არ არის რეგისტრირებული დღგ-ის გადამხდელად;

გ) ცნობის გაცემის წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის ბრუნვა შრომითი ბინადრობის ნებართვის მსურველ თითოეულ უცხოელზე არ არის 50 000 ლარზე ნაკლები, ხოლო უცხოელის დამსაქმებელი/დაფუძნებული საგანმანათლებლო ან სამედიცინო დაწესებულების შემთხვევაში – 35 000 ლარზე ნაკლები.

4. თუ ობიექტურად შეუძლებელია ამ მუხლის პირველი – მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ცნობების წარდგენა, მათ ნაცვლად უცხოელმა სააგენტოში შეიძლება, წარადგინოს სხვა ნებისმიერი ცნობა ან მტკიცებულება, რომელიც უდავოდ ადასტურებს „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული პირობების არსებობას.“

ზემოაღნიშნული დადგენილების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>, სარეგისტრაციო კოდი: 010120000.10.003.022199

აღნიშნული დადგენილება ამოქმედდა 2020 წლის 7 აგვისტოს.

### საქართველოს მთავრობის დადგენილება №492 „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“

2020 წლის 7 აგვისტოს, საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელდა საქართველოს მთავრობის დადგენილება №476-ში „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“, კერძოდ, აღნიშნული ცვლილებების შედეგად, დადგენილებით დამტკიცებული „სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მე-9 მუხლს დაემატა მე-6 პუნქტი, რომლის თანახმადაც, მე-9 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია პროდუქტზე დატანილ უნდა იქნეს აუცილებლად ქართულ ენაზე.

ზემოაღნიშნული დადგენილების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>, სარეგისტრაციო კოდი: 300160070.10.003.022210

აღნიშნული დადგენილება გამოქვეყნდა 2020 წლის 10 აგვისტოს და იგი ამოქმედდება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარულ დღეში, ხოლო იმპორტის გზით საქართველოს ბაზარზე განსათავსებელ პროდუქტებთან მიმართებით დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებიდან 14 კალენდარულ დღეში.

### საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №185 „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“

2020 წლის 7 აგვისტოს, საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით №185 „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ დამტკიცებულ ინსტრუქციაში განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილება, კერძოდ, აღნიშნული ბრძანების მე-17 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის 17<sup>1</sup> მუხლი:

„მუხლი 17<sup>1</sup>. საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებაზე უარის თქმა

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პირი უფლებამოსილია საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს წერილობითი განცხადება „საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებაზე უარის თქმის შესახებ“ (შემდგომში – განცხადება).

2. განცხადება საგადასახადო ორგანოს წარედგინება მატერიალური ფორმით, დანართი №I-121 შესაბამისად, რომელიც ხელმოწერილი უნდა იყოს გადასახადის გადამხდელის ან მისი წარმომადგენლის მიერ. თუ განცხადება ხელმოწერილია წარმომადგენლის მიერ, განცხადებას უნდა დაერთოს წარმომადგენლობის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც პირდაპირ უნდა იყოს მითითებული საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებაზე უარის თქმის უფლებამოსილება.

3. განცხადება უნდა შეიცავდეს განმცხადებლის დადასტურებას, რომ იგი ინფორმირებულია საგადასახადო მოთხოვნის გასაჩივრებაზე უარის თქმის შედეგების თაობაზე.

4. განცხადებას უნდა დაერთოს იმ საგადასახადო მოთხოვნის ასლი, რომლის გასაჩივრებაზეც უარს აცხადებს განმცხადებელი.

5. საგადასახადო ორგანო განცხადებას განიხილავს და განცხადებაში მითითებულ საგადასახადო მოთხოვნით გათვალისწინებულ თანხას ასახავს გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე, განცხადების რეგისტრირების დღიდან არაუგვიანეს მესამე სამუშაო დღისა.

6. განცხადებაში მითითებული საგადასახადო მოთხოვნით გათვალისწინებული თანხის გადასახადის გადამხდელის პირადი აღრიცხვის ძირითად ბარათზე ასახვის შემდეგ, პირის მიერ განცხადების გამოხმობა აღარ დაიშვება.

აღნიშნული ბრძანების საფუძველზე განხორციელებლი ცვლილებები იხილეთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>, სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017349

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2020 წლის 11 აგვისტოს.

### აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის ბრძანება №01-01-3/212

2020 წლის 7 აგვისტოს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის ბრძანება №01-01-3/212-ით დამტკიცდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების ლიკვიდაციის წესის შესახებ დებულება. აღნიშნული დებულების მიზანია, განსაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით არსებული საწარმოების (შემდგომში – საწარმო) ლიკვიდაციის წესი და აღნიშნულის განსახორციელებლად ყველა საჭირო პროცედურები, მათ შორის, კრედიტორის მიერ წარსადგენი მოთხვნის, კრედიტორული დავალიანების დაფარვის რიგითობის და საწარმოს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილების საკითხები.

ბრძანების სრული ვერსიის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>, სარეგისტრაციო კოდი: 240140000.33.058.016139;

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2020 წლის 10 აგვისტოს.

## საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №119

2020 წლის 13 აგვისტოს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება №119-ით დამტკიცდა სესხის გამცემი სუბიექტის (მეწარმე სუბიექტის) ფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად მიღებული მოძრავი ნივთების აღრიცხვის სპეციალური ელექტრონული პროგრამის ქონასთან და წარმოებასთან დაკავშირებული მოთხოვნები.

აღნიშნული ბრძანების რეგულირების სფეროა სესხის გამცემი სუბიექტის (მეწარმე სუბიექტის) ფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად მიღებული მოძრავი ნივთების აღრიცხვის სპეციალური ელექტრონული პროგრამის ქონასთან და წარმოებასთან დაკავშირებული მოთხოვნები (შემდგომში – წესი), რაც მოიცავს ფულადი მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად მიღებული მოძრავი ნივთების აღრიცხვის სპეციალური ელექტრონული პროგრამით სარგებლობისთვის, სესხის გამცემი სუბიექტის რეგისტრაციის და სპეციალური ელექტრონული პროგრამის წარმოების წესებს.

ზემოაღნიშნული წესი მოქმედებს „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ და ეროვნული ბანკის მიერ რეგისტრირებულ სესხის გამცემ სუბიექტზე (შემდგომში – სუბიექტი); ასევე, სუბიექტის ფილიალზე, რაც წესის მიზნებისათვის გულისხმობს სუბიექტის სტრუქტურულ ქვედანაყოფს, სადაც უშუალოდ ხორციელდება სუბიექტის საქმიანობა ან მისი ნაწილი.

სპეციალური ელექტრონული პროგრამის ქონასთან და წარმოებასთან დაკავშირებული მოთხოვნების, სპეციალური ელექტრონული პროგრამის სამინისტროს მონაცემთა ბაზასთან კავშირის უზრუნველყოფის, სამინისტროს მიერ საქართველოს ეროვნულ ბანკისათვის ინფორმაციის მიწოდებისა და სხვა ბრძანებით განსაზღვრული წესების სრულად და დეტალურად ნახვა შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>, სარეგისტრაციო კოდი: 220060000.22.034.017048

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდება 2021 წლის 01 თებერვალს.

## საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის ბრძანება №4

2020 წლის 17 აგვისტოს, ცვლილებები შევიდა „ანგარიშვალდებული პირის მიერ გარიგების თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვის, შენახვისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის №1 ბრძანებაში. კერძოდ, განხორციელდა შემდეგი სახის ცვლილებები:

1. ბრძანების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს 2020 წლის 20 ოქტომბრიდან.“.

2. ამოღებულ იქნეს ბრძანებით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტები.

3. ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ბ) არარეზიდენტი პირი – უცხო ქვეყნის მოქალაქე ფიზიკური პირი, აგრეთვე, მოქალაქეობის არმქონე ფიზიკური პირი და უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც საქართველოში რეგისტრირებულია ინდივიდუალურ მეწარმედ, ან/და იურიდიული პირი, აგრეთვე, ნებისმიერი სახის ორგანიზაციული წარმონაქმნი, შექმნილი უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად (მათ შორის, უცხოური კომპანიის საქართველოში რეგისტრირებული ფილიალი/წარმომადგენლობა);“.

4. ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ვ) დაკავშირებული გარიგებები (ოპერაციები) – დროის გონივრულ პერიოდში დადებული გარიგებები ან/და სხვა კრიტერიუმების საფუძველზე განსაზღვრული ერთჯერადი გარიგებები (მათ შორის, ფულადი სახსრების ერთჯერადი გადარიცხვები), რომლებიც ერთსა და იმავე კლიენტს უკავშირდება და შესაძლოა ხორციელდებოდეს გარიგების დანაწევრების მიზნით;“.

5. ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„10. ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მიიღოს ზომები რთული, უჩვეულოდ დიდი გარიგების (ოპერაციის) და გარიგებათა (ოპერაციათა) უჩვეულო ერთობლიობის და დაკავშირებული გარიგებების გამოსავლენად. ამ შემთხვევაში,

ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა შეისწავლოს, არსებობს თუ არა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშგების წარდგენის საფუძველი.“.

6. ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„გ) იურიდიული პირის ანგარიშზე ნაღდი ფულის შეტანა, თუ ოპერაციის თანხა 50 000 ლარს ან უცხოურ ვალუტაში 50 000 ლარის ეკვივალენტს აღემატება;“.

7. ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ე) ანგარიშზე ფულადი სახსრების ჩარიცხვა საექვო ზონიდან ან ანგარიშიდან ფულადი სახსრების გადარიცხვა საექვო ზონაში, თუ ოპერაციის თანხა 150 000 ლარს ან უცხოურ ვალუტაში 150 000 ლარის ეკვივალენტს აღემატება;“.

8. ბრძანებით დამტკიცებული დანართის მე-6 მუხლის მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ბ) მაღალი რისკის იურისდიქციის რეზიდენტი პირის დავალებით ფასიანი ქაღალდების ყიდვა/გაყიდვა, თუ გარიგების თანხა 50 000 ლარს ან უცხოურ ვალუტაში 50 000 ლარის ეკვივალენტს აღემატება.“.

ზემოაღნიშნული ბრძანების ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>,  
სარეგისტრაციო კოდი: 080090020.19.012.016077

აღნიშნული ბრძანება ამოქმედდა 2020 წლის 18 აგვისტოს.

**საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრისა და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ერთობლივი ბრძანება №1-1/334 – №01-155**

2020 წლის 24 აგვისტოს ბრძანება №1-1/334 –№01-155 „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილების 11<sup>4</sup> მუხლის საფუძველზე, დამტკიცდა „უცხოელი ვიზიტორების მიერ საქართველოდან ფარგლებს გარეთ დისტანციურად ბიზნეს/შრომითი საქმიანობის განხორციელების მიზნით ელექტრონულ პროგრამაში განაცხადის შევსებისა და თანხმობის მიღების წესი“.

აღნიშნული ბრძანების მიზანია, დაადგინოს უცხოელი ვიზიტორების მიერ საქართველოდან ფარგლებს გარეთ დისტანციურად ბიზნეს/შრომითი საქმიანობის განხორციელების მიზნით ელექტრონულ პროგრამაში განაცხადის შევსებისა და თანხმობის მიღების წესები, მათ შორის, ელექტრონულ პროგრამაში განაცხადის შევსების, განხილვისა და გადაწყვეტის წესი, ასევე პროგრამული უზრუნველყოფის პირობები.

აღსანიშნავია, რომ ეს წესები არ ვრცელდება იმ ქვეყნის მოქალაქეებზე ან ბინადრობის უფლების მქონე პირებზე, რომლებთანაც საქართველოს გახსნილი აქვს საზღვრები ტესტირების და/ან კარანტინის გარეშე.

ასევე, საყურადღებოა რომ, პროგრამაში მონაწილეობის უფლება აქვთ იმ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომელთა ჩამონათვალსაც განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის 2015 წლის 5 ივნისის №256 დადგენილება.

ბრძანების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>, სარეგისტრაციო კოდით: 270220000.22.024.016661

აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნდა 2020 წლის 25 აგვისტოს.

## საქართველოს მთავრობის დადგენილება „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“

2020 წლის 27 აგვისტოს საქართველოს მთავრობის დადგენილებაში „აწარმოე საქართველოში სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ განხორციელდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები.

საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების შედეგად, აღნიშნული დადგენილების 32-ე მუხლში პირველი პუნქტის „ო“, „ო<sup>1</sup>“, „ფ“ და „ქ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

ო) სასტუმრო ინდუსტრია – საქმიანობა, რომელიც ამ პროგრამის შესაბამისად ხორციელდება მეწარმე სუბიექტის მიერ საქართველოში, მის საკუთრებაში ან დროებით სარგებლობაში არსებულ ფართზე განთავსებულ სასტუმროში, ქ. თბილისისა და ქ. ბათუმის (საქართველოს პარლამენტის 2011 წლის 14 ივნისის №4757-IX დადგენილების ამოქმედებამდე არსებულ ადმინისტრაციულ საზღვრებში)

ტერიტორიების გარდა, სასტუმროს ექსპლუატაციით, საერთაშორისო ბრენდის გამოყენებით ან მის გარეშე. პროგრამის მიზნებისათვის უძრავი ნივთის დროებით სარგებლობა გულისხმობს პროგრამაში ჩართვის მსურველი მეწარმე სუბიექტის მიერ საქართველოს სახელმწიფოსგან იჯარით/ქირით/აღნაგობის უფლებით მიღებული უძრავი ქონებით სარგებლობის უფლებას, რომელიც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით და წარმოშობილია არანაკლებ კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ბენეფიციარზე სესხის/ლიზინგის საგნის გაცემიდან ბენეფიციარის მიერ პროგრამით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე ვადით დადებული ხელშეკრულებით;“

„ო<sup>1</sup>) ბალნეოლოგიური კურორტების ინდუსტრია – საქმიანობა, რომელიც ამ პროგრამის შესაბამისად ხორციელდება მეწარმე სუბიექტის მიერ საქართველოში, მის საკუთრებაში ან დროებით სარგებლობაში არსებულ ფართზე განთავსებულ სასტუმროში, დანართ №4-ით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, სასტუმროს ექსპლუატაციით, საერთაშორისო ბრენდის გამოყენებით ან მის გარეშე. პროგრამის მიზნებისათვის უძრავი ნივთის დროებით სარგებლობა გულისხმობს პროგრამაში ჩართვის მსურველი მეწარმე სუბიექტის მიერ საქართველოს სახელმწიფოსგან იჯარით/ქირით/აღნაგობის უფლებით მიღებული უძრავი ქონებით სარგებლობის უფლებას, რომელიც დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით და წარმოშობილია არანაკლებ კომერციული ბანკის/ლიზინგის გამცემის მიერ პროგრამის ბენეფიციარზე სესხის/ლიზინგის საგნის გაცემიდან ბენეფიციარის მიერ პროგრამით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე ვადით დადებული ხელშეკრულებით;“

„ფ) რესტრუქტურიზებული სესხი – „კომერციული ბანკების მიერ აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების შექმნისა და გამოყენების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2017 წლის 10 აგვისტოს №117/04 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული კრედიტი;“;

„ქ) სალიზინგო პროექტის რესტრუქტურიზაცია - ლიზინგის გამცემსა და ბენეფიციარს შორის გაფორმებული ლიზინგის ხელშეკრულების მიხედვით შეთანხმებული სალიზინგო საზღაურების (რომელიც მოიცავს, როგორც სააგენტოს თანადაფინანსებას, ასევე ბენეფიციარის თანამონაწილეობას) გადახდის გრაფიკის ცვლილება, რომელიც შესაძლოა, განხორციელდეს ლიზინგის მიმღებისთვის/ბენეფიციარისათვის შექმნილი ფინანსური სირთულეებიდან ან ლიზინგის დაფინანსების თანხის ნაწილობრივ წინსწრებით დაფარვის მიზეზით. ამ პროგრამის მიზნებისათვის ლიზინგის დაფინანსების თანხა არის ლიზინგის საგნის ღირებულება, ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის საგნის სარგებლობაში მიღებასთან დაკავშირებული კაპიტალიზირებადი დანახარჯების გათვალისწინებით, ლიზინგის მიმღების თანამონაწილეობის გარეშე.“;

აღნიშნულ დადგენილებას ასევე დამატა შემდეგი შინაარსის 6<sup>1</sup> პუნქტი და 32-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ჩამოყალიბებულ დანართ №1-ს დაემატა საქმიანობის რამდენიმე სახე:

„6<sup>1</sup>. ამ თავით დადგენილი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში დადგენილების დანართ №5-დან ამოღებულ იქნეს ტურისტული სერვისების (თემატური პარკები და სათავგადასავლო ტურიზმი) ინდუსტრიის გეოგრაფიული არეალი.“

ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების და დანართი №1-ზე დაემატებული საქმიანობის ხილვა დეტალურად შეგიძლიათ ბმულზე: <https://matsne.gov.ge/>, სარეგისტრაციო კოდით: 240140000.10.003.022260

აღნიშნული დადგენილება ამოქმედდა 2020 წლის 27 აგვისტოს.